თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. აკადემიური კონკურსი ცხადდება შემდეგ მიმართულებაზე:

   1.1 ელექტრო-ინჟინერია - პროფესორი;

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1 პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ელექტრო-ინჟინერიის მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე:

- უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში აღიშნული მიმართულებით 10 წელზე მეტი აკადემიური და კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;
- კვლევითი საქმიანობის გამოცდილება ციფრული სიგნალების დამუშავების, სურათების და ვიდეო დამუშავების მიმართულებით.
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება ისეთ საგნებში, როგორიცაა: მიკროპროცესორები, მიკროკონტროლერები და ჩაშენებული სისტემები, ელექტრული წრედები, ელექტრული წრედების დიზაინი, კომპიუტერული არქიტექტურა.
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- აღნიშნული მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

2.2 აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2024 წლის 10 ოქტომბრიდან - 2024 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

   4.1 ბიოგრაფია (CV);
   4.2 სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
   4.3 შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
   4.4 ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
   4.5 პუბლიკაციების ჩამონათვალი;
   4.6 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5 დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - https://form.jotform.com/242522869387469

6 კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება ან/და საჩვენებელი ლექცია საჭიროების შემთხვევაში.

7 კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2024 წლის 16 ოქტომბრიდან 2024 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება ან/და საჩვენებელი ლექცია საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2024 წლის 22 ოქტომბრიდან - 2024 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით.**

8 შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირებთან შეთანხმების საფუძველზე.

9 საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge